*დანართი №1*

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

**საქართველოს უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 4-14 თებერვალი 2025

დასკვნა წარდგენის თარიღი: 15 მაისი 2025

თბილისი

## შინაარსი

**I.** 4

**II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა** ..... 5

**III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან** ..... 6

**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** ..... 6

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** ..... 10

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** ..... 14

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** ..... 16

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** ..... 22

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205037137** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია თვალჭრელიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქათველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | მასობრივი კომუნიკაცია |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Masscommunication |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მერვე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული . აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: N272 20.12.2019 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

საქართველოს უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს და წარმატებით ფუნქციონირებს 2020 წლიდან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა "მასობრივი კომუნიკაციების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია 1, 2 და 4 სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია უსდ-მ წარმოადგინოს სრული დოკუმენტაცია შესაფასებელი სტანდარტების მიხედვით

  - საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისას, უზრუნველყოფილი იყოს სრულყოფილი ინფორმაციის, მათ შორის, კვლევის კონცენფიის შეფასების კრიტერიუმების ხელმისაწვდომობა.

  - სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პერსონალის განვითარების ღონისძიებებისა და ტრენინგების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, მათი ფორმალიზება და პერსონალის პირად საქმეში ასახვის უზრუნველყოფა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

უსდ-მ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროგრამის შესახებ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის მიზანია "სტუდენტს გამოუმუშაოს მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების ელემენტების, მათზე ზემოქმედი ფაქტორების ურთიერთშედარების, სინთეზირების უნარი და ამავდროულად, მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდოლოგიებისა, აუდიტორიის ანალიზისა და კულტურათაშორის კომუნიკაციის კვლევების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარი", რაც სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.
მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და ემსახურება მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარის მომზადებას, რაც ეხმიანება შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, ორიენტირებულია როგორც მასობრივი კომუნიკაციის კვლევითი უნარების განვითარებაზე, ისე უახლესი თეორიების შესწავლასა და გააზრებაზე. პროგრამის მიზნების მიხედვით კურსდამთავრებული შეძლებს როგორც აკადემიურ სფეროში დასაქმებას, ისე კვლევით ორგანიზაციებში დარგის სპეციფიკური კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას.
პროგრამა სრულ თავსებადობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც მდგომარეს ცოდნის წარმოებასა და პიროვნების განათლებაში, რაშიც იგულისხმება ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივება, და მისი აღჭურვა კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით.
პროგრამა მუდმივად ახლდება და ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ დანერგილ საუკეთესო პრაქტიკებს, როგორიცაა, მაგალითად, კოლაბორაციული ხასიათის თანამშრომლობები და ინტერნაციონალიზაციით. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ უსდ ამ პროგრამის ფარგლებში აქტიურად თანამშომლობს საერთაშორისო ასოციაციებტან და მონაწილეობს სხვადასხვა სემინარებში, კვლევით პროექტებში, კონფერენციებში და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.ug.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო-დოკუმენტისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ჩამოყალიბებულია განზოგადებული სწავლის შედეგის - ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - მიხედვით.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს; არის მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი.

უსდ-ს არ წარმოუდგენია შრომითი ბაზრის კვლევა, თუმცა სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ეხმიანება შრომის ბაზრის სპეციფიკას და გათვლილია, ჩამოაყალიბოს მასობრივი კომუნიკაციის მკვლევარი, რომელიც თანაბარი წარმატებით იმუშაოვებს კვლევით ორგანიზაციაშიც და უმაღლესი განათლების დაწესებულებებშიც და შეეძლება მრავალმხრივ შეუწყოს ხელი სფეროს განვითარებას.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ჩანს, თუ როგორ იქნა შემუშავებული სწავლის შედეგები და რამდენად იყვნენ ამ პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე: პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლები, კურსდანთავრებულები და სტუდენტები. ინფორმაცია ვერც დაწესსებულების საიტზე მოვიძიეთ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უსდ-მ წარმოადგინოს სრული დოკუმენტაცია შესაფასებელი სტანდარტების მიხედვით

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, ასევე წარმოდგენილი დანართები არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და მისი ანალიზის გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 60 კრედიტისგან, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: ძირითადი კურსები - 45 ECTS და არჩევითი -15 ECTS კურსები, მათ შორის პროფესორის ასისტირება.

პროგრამა ლოგიკურადაა აწყობილი, თანმიმდევრულია და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას სასწავლოს კურსების და კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომი) მეშვეობით. პროგრამაში შემავალი თითოეული კურსი და კვლევითი კომპონენტი ლოგიკურადაა დალაგებული და სტუდენტს აძლევს საშუალებას სასწავლო პროცესი დაგეგმოს ლოგიკურად მარტივიდან რთულისკენ.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს და ემსახურება მაღალკვალიფიციური მკვლევარის ჩამოყალიბებას, რაც პროგრამის ძირითადი მიზანია.

ძირითადი კურსები მოიცავს, როგორც თეორიულ კომპონენტს ასევე კვლევის მეთოდებსა და აკადემიური წერის კურსს, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამა ითვალისწინებს სფეროს როგორც საქართველოში არსებულ, ისე უცხოურ ტრადიციებსა და სიახლეებს და აგებულია საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით სხვადასხვა ქვეყნებში. როგორც წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უზრუნვესაყოფად, პროგრამა თანამშომლობს სხვადასხვა საერთაშრისო ასოციაციებთან და აძლევს დოქტორანტებს საშუალებას მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ იქნა მოძიებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ეს დოკუმენტი ვერც უსდ-ს საიტზე მოვიძიეთ, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს რამდენად ესადაგება პროგრამა უნივერსიტეტში არსებულ წესებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსები სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსებში სტუდენტთა სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების მიზნები და შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა სტუდენტებისათვის) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა, ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს, სწავლის მეთოდებს (ლექცია, სემინარი, კვლევითი მუშაობა და სხვ.) და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადია და ფასდება.
სასწავლო კურსებში წარმოდგენილი სავალდებულო და დამატებითი საკითხავი ლიტერატურა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **1.** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები მასობრივი კომუნიკაციის, საზოგადოებრივი ურთიერთობების ან/და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ასევე ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Intermediate) დონეზე ცოდნის დადასტურება - შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენით; ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატით (Certus); ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართის ან ცნობის წარმოდგენით; ან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარებით.

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა ასევე კვლევის კონცეფციის წარმოდგენა.

წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამა ასევე მოიცავს ინფორმაციას კვლევის კონცეფციის შეფასების კრიტერიუმების შესახებ, თუმცა, სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზის გამო, ინფრომაცია სრულად არ იკითხება.

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისას, დაწესებულებამ უზრუნველყოს სრულყოფილი ინფორმაციის, მათ შორის, კვლევის კონცენფიის შეფასების კრიტერიუმების ხელმისაწვდომობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანთლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისას, უზრუნველყოფილი იყოს სრულყოფილი ინფორმაციის, მათ შორის, კვლევის კონცენფიის შეფასების კრიტერიუმების ხელმისაწვდომობა.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | • | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია სტუდენტების მიერ სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების პრაქტიკული უნარების ათვისებაზე და მათ ჩართვაზე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. სასწავლო კომპონენტთაგან ერთ-ერთი - პროფესორის ასისტენტირება ორიენტირებულია შესაბამისი პედაგოგიური უნარების გამომუშავებაზე და გულისხმობს დოქტორანტების მიერ BA და MA დონის სტუდენტებისთვის ლექციებისა და სემინარების ჩატარებას, ასევე, შუალედური და საბოლოო გამოცდების მომზადებას, საგამოცდო ნაშრომების გასწორებას. სასწავლო კურსი "ტექსტის რეფერირება და თარგმანი" ასევე მოიცავს ადაპტატის კონსტრუირებისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენას.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დარგობრივ საგნებთან ერთად სტუდენტები იღებენ ისეთ ცოდნას, როგორიცაა სწავლება/შეფასების თანამედროვე სტრატეგიები, ელექტრონული სწავლების მართვა, მეცნიერების ფილოსოფია და სხვ.

პროგრამა ასევე აძლევ სტუდენტს სისტემურ ცოდნას კვლევის მეთოდების შესახებ ორი სხვადასხვა კურსის ფარგლებში, რომლებიც ორიენტირებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის წარმართვის შესწავლაზე და ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისათვის, ისე მომავალი სამეცნიერო და პროფესიული მუშაობისათვის.

სადისერტაციო ნაშრომი უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით კვლევის დამიუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას. აქვე აღსანიშნავია, რომ დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ეტაპებს მეთვალყურეობას უწევს როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები, რაც სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში ლოგიკურია, ვინაიდან ძირითადი სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული ნაწილი აქ სადოქტორო თემის კვლევაა, რასაც სტუდენტი ინდივიდუალურად, ხელმძღვანელთან ერთად უნდა ახორციელებდეს

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სწავლების პროცესში გამოყენებულია მეთოდები: დისკუსია/ დებატები; კრიტიკული ანალიზი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; ლიტერატურის მიმოხილვა; შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში

ან ბიბლიოთეკაში; წერითი მუშაობის მეთოდი; პრეზენტაციების წარდგენა; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი და სხვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის და გამჭირვალეა. სასწავლო კურსების შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, რისი დეტალური აღწერაც მოიპოვება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

შეფასებასთან ერთად სტუდენტი იღებს უკუკავშირს გაწეული მუშაობის შესახებ, რათა უკეთ შეძლოს მომავალი სწავლების/კვლევითი მუშაობის დაგეგმვა.

სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამითა და სასწავლო კურსების  სილაბუსებით, სადაც შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და შეფასების რუბრიკები დეტალურადაა მოცემული.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი- 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს-61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს-51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს-41-50%,

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს-< 40%

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ მოვიძიეთ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია, თუმცა უსდ-ს ვებ გვერდზე შესაძლებელი გახდა გავცნობიდით დოქტორანტურის დებულებას, რომელიც ცხადჰყოფს, რომ სადისერტაციო ნაშრომების საჯარო დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით; უნივერსიტეტში არსებული აკადემიურის სტილის მოთხოვენები წინასწარაა ცნობილი დოქტორანტისთვის და მარტივად მოძიებადია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება უსდ-ში არსებულ აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები, რაც საჯაროდაა ხელმისაწვდომი ვებ გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ს ვებ გვერდზე განტავსებული დოქტორანტურის დებულება დანართებით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **2.** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანადრტის კომპონენტი არ შეფასებულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანადრტის კომპონენტი არ შეფასებულა.

| **მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები** | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **3.** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს დოქტორის ხარისხსს დარგში, ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან პედაგოგიკის/განათლების მეცნიერების მიმართულებით დოქტორის ხარისხისა და მრავალწლიანი პედაგოგიური და კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალი, კვლევითი საქმიანობისა და მართვის გამოცდილების მქონე პერსონალი, შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ შესრულებული ნაშრომებითა და გამოცდილებით. ამასთან, პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს როგორც აკადემიური პერსონალის რაოდენობა (პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული მოწვეული პერსონალი, რაც სადოქტორო საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლოგიკურია), ასევე აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა - პროგრამის განხორციელებაში ჩართული 17 პერსონალიდან 17-ივე აფილირებულია. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე არის პროგრამის შემუშავებისთვის შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირი. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმით.

პერსონალის დებულება, რომელის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გასნსაზღვრავს აკადემიუური თანამდებობის დაკავების წესს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ვალდებულებებსა და დატვირთვის კომპონენტებს. ვინაიდან წარმოება არ ითვალისწინებდა ინტერვიურებას, ვერ შეფასდა, თუ როგორ მოხდა პერსონალის პროგრამაში ჩართვა, ასევე, როგორია სტუდენტთა თუ აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან (პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია თუ მხარდაჭერის დონე).

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობას პროგრამის შემუშავება-განვითარებაში, სტუდენტთა კონსულტირებაში, აღნიშნული ფუნქციები გათვალისწინებულია რეგულაციით, თუმცა, ვიზიტისა და გასაუბრების გარეშე, ჩართულობის დონე შეფასებადი არ არის.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | **17** | **7** | **6** | **12** |
| - პროფესორი | 5 | 2 | 2 | 5 |
| - ასოცირებული პროფესორი | 12 | 5 | 4 | 12 |
| - ასისტენტ-პროფესორი | - | - | - | - |

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | - | | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | - | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- დაწესებულების ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.1 ადამიანური რესურსი | ● | ☐ | ☐ | ☐ |

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

როგორც აღინიშნა სტანდარტის კომპონენტის 4.1 აღწერასა და შეფასებაში, საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელთა კომპეტენცია დასტურდება პირადი საქმით. თუმცა, თვითშეფასების ანგარიში არ მოიცავს დამატებით ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რომელი აკადემიური პერსონალი (თუ თითოეული მათგანი) არის ჩართული დოქტორანტთა ნაშრომების ხელმძღვანელობის პროცესში. ვინაიდან პერსონალის დებულების მიხედვით, სადოქტორო ნაშრომს შეუძლია უხელმძღვანელოს როგორც პროფესორმა, ასევე ასოცირებულმა პროფესორმა, პროგრამა კი ხორციელდება მხოლოდ პროფესორებისა და ასოცირებული

პროფესორების მიერ, შეფასებისას ჯგუფმა იხელმძღვანელა აკადემიური პერსონალის სრული რაოდენობით და ხელმძღვანელობს დაშვებით, რომ თითოეული მათგანი ჩართულია დოქტორანტთა ხელმძღვანელობაში. შეფასებისთვის ასევე ღირებული იქნებოდა დოქტორანტთა ხელმძღვანელების სია დოქტორანტთა რაოდენობისა და თემატიკის მითითებით.

| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **ნაშრომების ხელმძღვანელები** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | **17** | **6** | **17** |
| - პროფესორი | 5 | 2 | 5 |
| - ასოცირებული პროფესორი | 12 | 4 | 12 |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | – |
| სამეცნიერო პერსონალი | | | – |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | • | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა პერსონალის განახლება ან/და არსებული პერსონალის პროფესიული განვითარება - პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დაემატა ახალი პერსონალი (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, მოწვეული პერსონალიც, რაც სავარაუდოდ, ტექნიკური უზუსტობაა - პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში არ არის წარმოდგენილი არც ერთი მოწვეული ლექტორი).

ვინაიდან თვითშეფასების დოკუმენტის თანდანართული დოკუმენტაცია არ მოიცავს პროგრამის ბიუჯეტს, ასევე შეფასებისას არ განხორციელებულა ვიზიტი, ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებს პერსონალის საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისთვის არსებულ მატერიალურ თუ ფინანსურ რესურსებს, თუმცა, პერსონალის დებულებით გათვალისწინებული დატვირთვის სქემა და საქმიანობის პრინციპები ქმნის კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო სამუშაო პირობებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, უნივერსიტეტში არსებობს სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების მექანიმზები, მათ შორის, სამეცნიერო გრანტი თუ სამეცნიერო მივლინების დაფინანსება. ამის მიუხედავად, წარმოების ფარგლებში არ არის შესაძლებელი შეფასდეს, თუ პერსონალის აქტივობების რა ნაწილია ფინანსურად მხარდაჭერილი უნივერსიტეტის მიერ.

რაც შეეხება პერსონალის განვითარებას, აღნიშნულია ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მათ შორის, სწავლების მეთოდებსა და პლაგიატის დეტექციის პროგრამასთან დაკავშირებით, არ არის ინფორმაცია განხორციელებული ტრენინგების შესახებ ელექტრონული/დისტანციური სწავლება-სწავლის თუ შეფასების მეთოდების გამოყენების მიზნით. თუმცა, პერსონალის პირად საქმეებში საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ გვხვდება.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია სხვადასხვა ღონისძიების, სემინარისა და კონფერენციის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პერსონალის განვითარების ღონისძიებებისა და ტრენინგების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, მათი ფორმალიზება და პერსონალის პირად საქმეში ასახვის უზრუნველყოფა.

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის პარალელურად, განხორციელდა სასწავლო აუდიტორიების განახლება და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის განახლება.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართები, ასევე პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის შეფასების პროცესი არ ითვალისწინებს მატერიალური რესურსის დათვალიერების, ან/და დამატებითი მტკიცებულებების შესწავლას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანადრტის კომპონენტი არ შეფასებულა, ვინაიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ გვხვდება პროგრამის ბიუჯეტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **4.** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ● |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანადრტის კომპონენტი არ შეფასებულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**5.2. გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანადრტის კომპონენტი არ შეფასებულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევე-**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.2 გარე ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანადრტის კომპონენტი არ შეფასებულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- -

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **5.** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |

| | | |
|---|---|---|
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**

**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

| **შეფასება**<br>**სტანდარტები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

**ხელმოწერები:**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის**

**ნატალია თვალჭრელიძე, ხელმოწერა**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების**

**თინათინ გაბრიჩიძე, ხელმოწერა**

**სახელი, გვარი, ხელმოწერა**

**სახელი, გვარი, ხელმოწერა**

**სახელი, გვარი, ხელმოწერა**